განკარგულება:**g-37. 37261473**
თარიღი:**27/05/2026**

განკარგულება N26

27 მაისი 2026 წელი

ქ. ოზურგეთი

ქალაქ ოზურგეთში, შოთა რუსთაველის ქუჩა N39-ში მდებარე სპორტული მოედნის „მეგობრობა“-სთვის სახელის გადარქმევისა და კოტე გოგატაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ქალაქ ოზურგეთში, შოთა რუსთაველის ქუჩა N39-ში მდებარე სპორტულ მოედანს „მეგობრობა“-ს გადაერქვას სახელი და მიენიჭოს გამორჩეული სპორტსმენის, ფეხბურთელის კოტე გოგატაძის სახელი, თანდართული დანართის თანახმად.

მუხლი 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან 4 თვის ვადაში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის თანახმად, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი